



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დიდუბის ღვთისმშობლის შობის ეკლესია



დიდუბის ღვთისმშობლის შობის ეკლესია, ხუროთმოძღვრების ძეგლი თბილისში.

დგას წერეთლის გამზირზე (დიდუბის პანთეონის ჩრდ-ით). სავარაუდოდ იმ ადგილას, სადაც მდებარეობდა თამარ მეფის სახელთან დაკავშირებული ეკლესია, რ-იც თავისი მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე ბევრჯერ დაინგრა და აღადგინეს.

დიდუბის ღვთისმშობლის შობის ეკლესია 1884

ერთადერთი ადრეული წყარო, რ-იც ამ ფაქტის შესახებ მიგვანიშნებს, არის „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთაჲნი“ ავტორთან შემორჩენილი ცნობა თამარ მეფის ქორწილის შესახებ: „და წარვიდეს დიდებულნი იმერნი და ამერნი, და წამოიყვანნეს დედოფალი და გაზრდილი მისი დავით რჩეული ღმრთისა მის, და მოვიდეს სრასა დიდუბისასა, სანახებსა ტფილისისასა, და მუნ ქმნეს ქორწილი...“ (თამარ მეფის ქორწილზე ისტორიკოსი ბასილი ეზოსმოდვარიც მოგვითხრობს). მართალია, მემათიანენი უშუალოდ დიდუბის ეკლესიაზე არაფერს ამბობენ, მაგრამ თვით უტყუარი ფაქტი დიდუბეში მეფის სრა-სასახლის არსებობისა და აქ ქორწილის გადახდისა გვაფიქრებინებს,

რომ სასახლესთან კარის ეკლესიაც უნდა მდგარიყო.

პორუჩიკ ჩუიკოს მიერ 1800 წლის თბილისის გეგმაზე სოფ. კუკიის იქით, დიდუბესთან, დატანილი აქვს წარწერა „დანგრეული ეკლესია“, რ-იც, ეჭვგარეშეა, დ. ლ. შ. ე-ა. მისი აღდგენითი სამუშაოები დაიწყო სოფ. დიდუბის ქალაქთან შემოერთების (XIX ს. 50-იანი წწ.) შემდეგ. XIX ს. 60-იან წლებში დიდუბის ეკლესიას კამარები ჰქონია ჩამოქცეული. 1882 მ. ჯანაშვილი წერდა: „... ეკლესია, ის შესანიშნავი დიდუბის ეკლესია, რომელშიაც... მეფე თამარმა ჯვარი დაიწერა... ეხლა სამწუხარო მდგომარეობაშია: რამდენიმე წელიწადია ამის განახლება დაიწყო, მაგრამ ეხლაც სანახევროდ გაუთავებელი უგდიად“ („დროება“, 1882 წ. № 39).

ეკლესიის ისტორიას უფრო ვრცლად ეხება დეკანოზი დავით ღამბაშიძე: „... დიდუბის ეკლესია აგებული იყო აგურით ღვთისმშობლის სახელობაზედ. მოთხრობა არის, რომ თამარის დედა დედოფალი ბურდუხან მძიმედ შეიქმნა, გიორგი მეფემ აღთქმა მისცა ღმერთს, დიდუბეში ეკლესია აეშენებია, თუ დედოფალი მშვიდობით მორჩებოდა. მშვიდობით მორჩა დედოფალი და აი გიორგი მეფემ ამ ადგილს ააგო სასახლე და ეკლესია... საქართველოს ექსარხოსის პავლეს დროს აღიძრა კითხვა დიდუბის ეკლესიის განახლების შესახებ. ამ საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის განსვენებულ დეკანოზს ბესარიონ ზედგენიძეს, რომელმაც დიდი შრომა მიიღო ამ ეკლესიის აშენების საქმეში. ეკლესია სხვა გეგმაზედ აშენდა და მართლაც კარგი ეკლესია აშენდა. პირველად იგი უგუმბათო იყო, მაგრამ ეხლა მშვენიერი გუმბათი აქვს და მთლად ამშვენებს დიდუბის არემარეს...“ (დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესია, "მწყემსი", 1893 წ. №18).

დიდუბის ტაძარში დღეს შემორჩენილი სამარხების წარწერებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რ-იც გვამცნობს ახ. საყდრის აღმშენებლის ვინაობას. წარწერა შესრულებულია ქართულ და რუსულ ენებზე, ეკლესიის სამხრ. კედელზე, შესასვლელის მარჯვ. მხარეს, საკურთხევლის ახლოს. უფრო ადრეული ჩანს იატაკის ერთ-ერთ მარმარილოს ფილაზე ქართ. ენაზე შესრულებული წარწერა: „აქა მდებარეობს გვამი დეკანოზ ბესარიონ სიმონის ძის ზედგენიძისა, აღმშენებლისა ამა ტაძრისა...“ ეკლესიის გარშემო სასაფლაო ყოფილა. ამჟამად მხოლოდ რამდენიმე საფლავილაა გადარჩენილი. ეპიტაფიები XIX–XX სს. განეკუთვნება.

დღევანდელი ეკლესია აშენებულია 1884 (არქიტ. ა. ჩიჯოვი), იმ სახით, როგორც მაშინ მთელი რუს. ეკლესიებისათვის შემუშავდა და მოკლებული იყო მხატვრულ ღირებულებას. 1979–88 ეკლესია მოხატა ა. ბანძელაძემ (რესტავრ. 2007).

თ. ბერიძე
